საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №61

თბილისი „23" 01 2019წ.

ზოგიერთი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით, დირექტორობის უფლების მქონე პირების მიერ, თანხმობის განაცხადის ელექტრონულად შევსების, სავალდებულო დოკუმენტების წარდგენის ვადებისა და დირექტორობის უფლების მქონე პირების მიერ თანხმობის განაცხადში მითითებული საჯარო სკოლების დასახელების შეცვლის თარიღის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტურუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევის კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის N25/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის" მე-20 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის, მარიამ ჩიქობავას 2019 წლის 03 იანვრის N2422 და 2019 წლის 17 იანვრის N41487 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული ერთ-ერთი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით დირექტორობის უფლების მქონე პირების მიერ თანხმობის განაცხადის ელექტრონულად შევსებისა და სავალდებულო დოკუმენტების წარდგენის ვადად განისაზღვროს 14 კალენდარული დღე (2019 წლის 28 იანვრიდან 2019 წლის 10 თებერვლის ჩათვლით);
2. დირექტორობის უფლების მქონე პირების მიერ თანხმობის განაცხადში მითითებული საჯარო სკოლების დასახელების შეცვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 12 თებერვალი;
3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12, N6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

საკონკურსო საჯარო სკოლები
თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა
ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლა
ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლა
ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლა
ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა
ქალაქ თბილისის №216 საჯარო სკოლა
ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა